დატოვოს თანამდებობა საქართველოს მთავარმა პროკურორმა

ჩვენ, ხელმომწერი ორგანიზაციები, ვეხმაურებით ხორავას ქუჩაზე მომხდარ არასრულწლოვანთა მკვლელობის საქმეს და საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე. მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო კომისიის მუშაობის დაწყებამდე, თანამდებობა უნდა დატოვოს საქართველოს მთავარმა პროკურორმა.

საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება, შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია გონივრულია. თუმცა, დროებითი საგამოძიებო კომისიის უპირველესი ამოცანაა, საქართველოს პროკურატურის მიერ დასახელებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა, შესწავლა და შეფასება. სხვა შემთხვევაში, კომისიის მუშაობა იქნება ფორმალური და უშედეგო.

ამავდროულად, კომისია ვერ ჩაანაცვლებს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს და სასამართლოს, რაც გულისხმობს, რომ დასახელებულ სისხლის სამართლის საქმეზე სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება კვლავ საქართველოს პროკურატურის პასუხისმგებლობაა.

პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ, მიანიშნებს რომ არსებობს ლეგიტიმური შეკითხვები პროკურატურის მიერ

ამ საქმეზე განხორციელებული ქმედებების და საქმის შედეგით შესაძლო დაინტერესების შესახებ. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობით, დროებით საგამოძიებო კომისიას სისხლის სამართლის საქმეზე წვდომა მხოლოდ მთავარი პროკურორის ნებართვის შემთხვევაში ექნება. შესაბამისად, მოქმედი მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დარჩენა, ეჭვქვეშ დააყენებს პარლამენტის მხრიდან ნებისმიერ მცდელობას, შეისწავლოს პროკურატურის ქმედებების კანონიერება.

ხორავას ქუჩაზე მომხდარი ინცინდენტი არ არის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც საგამოძიებო და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ლეგიტიმურ და სამართლიან პროტესტს იწვევს. დღემდე არაერთი გახმაურებული საქმე გამოუძიბელი და პასუხგაუცემელია. ნათელია, რომ მოქმედი საგამოძიებო სისტემა ვერ პასუხობს შექმნილ კრიზისულ ვითარებას და ძირეულ რეფორმას საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოვუწოდებთ საქართველოს მთავარ პროკურორს, დაუყოვნებლივ დატოვოს დაკავებული თანამდებობა. ასევე, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობა წარმართოს მაქსიმალურად ღიად და კანონმდებლობის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ღია საზოგადოების ფონდი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადობა

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge